ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 205

ქალაქი ქუთაისი 31 ივლისი 2019 წელი

„თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების
გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის
საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში ცვლილების
შეტანის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №70 დადგენილების №1 დანართის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში, კერძოდ:

1. განკარგულებით დამტკიცებულ გარე რეკლამის განთავსების გეგმის ლოტი №15 (№131; №132; №133) შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

2. განკარგულებიდან ამოღებულ იქნეს ლოტი №45-თან დაკავშირებით არსებული ჩანაწერი: „№45 (№230)“.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო რეესტრის წარმოება განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, გიორგი ჭიღვარიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2019 წლის 31 ივლისის
№ 205 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმა

ლოტი № 15

№	რეკლამის განსათავსებელი ადგილის ნომერი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება			გარე რეკლამის განთავსების ადგილის ღერძის კოორდინატები		ფართობი	შენიშვნა
		დასახელება	საჯარო რეესტრის ამონაწერის ნომერი	მისამართი	x	y		
1.	№131	ტროტუარი	03.03.21.045	ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის მოედანი (ტროტუარი)	310293,705 310294,655	4682422,767 4682419,395	5,1×3,10=15,81	ცალმხრივი
2.	№132	არასაცხოვრებელი სახლის კედელი	03.03.01.259	ქალაქი ქუთაისი, ფალიაშვილის ქუჩა და რუსთაველის გამზირი №2/8	–	–	5,1×3,10=15,81	ცალმხრივი
3.	№133	არასაცხოვრებელი სახლის კედელი (ე.წ. „პასაჟა“)	03.03.01.021	ქალაქი ქუთაისი, წმინდა ნინოსა და ფალიაშვილის ქუჩა №21/27	–	–	5,1×3,10=15,81	ცალმხრივი

შენიშვნა: ლოტი №15-ში №1 პუნქტით განსაზღვრულ ადგილზე სარეკლამო საშუალება უნდა მოეწყოს მიწისპირა ნიშნულიდან არანაკლებ +2,50 მეტრისა. №3 პუნქტით განსაზღვრული ადგილისათვის სარეკლამო საშუალება უნდა მოეწყოს ქალაქ ქუთაისში, წმინდა ნინოსა და ფალიაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე შენობის კუთხეში არსებული არასაცხოვრებელი ფართის კედელზე. ლოტი №15-ით განსაზღვრულ სარეკლამო ადგილზე, სარეკლამო საშუალება უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე, ელექტრონული ტიპის გარე განსათავსებელ სარეკლამო მონიტორს, რომლის გაბარიტული ზომები არ უნდა აღემატებოდეს ჰორიზონტალურად 5,10 მეტრსა და ვერტიკალურად 3,10 მეტრს. სარეკლამო საშუალება უნდა იყოს კონსტრუქციულად მდგრადი, უნდა შეეფერებოდეს ქალაქის იერსახეს, სამშენებლო ნორმებსა და წესებს, ასევე, საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ტრანსპორტისა და ქვეითთა მოძრაობას.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია